საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა ნაციონალური პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
1 თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 100 მანეთი

№ 69
შაბათი, ნოემბერი 12
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანნა და გიორგი კილოხანია მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს საყვარელ ამხანაგ

დიმიტრი (მიტო) ქიტუაშვილის

უდროოთ ტრაგიკულად დაღუპვას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე მიხეილის საავადმყოფოში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნოემბრის 12-ს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება 1920 წ. ენკენ. 10-ს სპარსეთში ომში მოკლული გენერალ-მაიორის

არჩილ კონსტანტინეს ძე

გარაყანიძის

წლის პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავებს და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი, დედ მამა მარია ანდრიას ასული და კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, ძმა იოსებ გარაყანიძეები და მისი ოლა კონსტანტინეს ასული მეღვინეთუხუცესისა. 64

დამწუხრებულნი: მეუღლე დავით გიორგის ძე ჩიქოვანი და მშობლები ბესარიონ ქრისტეფორეს ძე და მარიამ ანდრიას ასული დვალიძეები შვილებით აცხადებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთა საყურადღებოდ, რომ დანიშნულია ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი

ანეტო ჩიქოვანისა

კვირას, ნოემბრის 13-ს, დილის 11 საათზე განსვენებულის საფლავზე ნაძალადევის ეკლესიის გალავანში. 65

ჩვენ და ისინი

2.

პირველ წერილში ჩვენ დავაყენეთ საკითხი თუ როგორ ესმის ჩვენ ყოფილ ამხანაგებს სოციალიზმ-ფედერალიზმის ძირითადი დებულებანი ამ წერილში კი შევეცდებით მოკლედ აღვნუსხოთ ფედერაციის საკითხი მათ პრაქტიკულ პოლიტიკაში.

ფედერალიზმის ბუნება ინტეგრალ და დიფერენციალ ტენდენციათა სიმბიოზაა. იგი ანტიპოდია როგორც ცენტრალიზმის ისე პარტიკულიარიზმის. ფედერალიზმი რაციონალი [illegible] მსოფლიოს ძალთა ერთიანობის პრინციპისა და მის ნაწილთა ნორმალი ურთიერთობისა. იგი მსოფლიოს განუყოფლობის პრინციპიდან გამომდინარეობს და მატემატიკური სისწორით იცავს ყოველ ნაწილს მსოფლიოს მთლიანობისას. მას ამ მთლიანობისათვის მიუღებლად მიაჩნია ცენტრალისტური პრინციპის გატარება; რადგან იგი შეზღუდავდა მსოფლიოს მრავალგვაროვნებასა და მრავალფეროვნებას ისე, როგორც პარტიკულიარიზმი ფეოდალურ კარჩაკეტილობას გამოიწვევდა და პროგრესის მსვლელობას ზღუდედ გადაეღობებოდა წინ.

ამიტომ ფედერალიზმი ჰგულისხმობს, რომ არც ერთი ერი, სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სრული დაქვემდებარებული ერთ ცენტრალისტურ ხელისუფლებასთან, მაგრამ ვერც ერთი ერი ან სახელმწიფო, ვერ შესძლებს არსებობას მსოფლიოდან სრულ იზოლიაციაში, რადგან ასეთია გაგება საერთოდ მსოფლიოს ნაწილებისა, აქედან აშკარაა ფედერალიზმის ლოზუნგიც—არც სრული დამოკიდებულება, არც სრული დამოუკიდებლობა.

მაგრამ დღეს ჩვენთვის უფრო საინტერესოა ვიცოდეთ თუ რა ბედი ეწია ფედერალისტურ პრინციპს პოლიტიკურ სარბიელზე? რა ძალები ქმნიდენ და ქმნიან დიდ თუ პატარა ერთა უფლებებს?

ერთი გარკვეული თეზისი შეიძლება ამ თავითვე აღვნიშნოთ. ვერც ერთი სახელმწიფო, ვერც ერთი ერი თავისი ნება სურვილით ვერ ქმნიდა საკუთარ პოლიტიკას ამ უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში, ეს თეზისი ქვემოდ ურყევი დებულების ხასიათს მიიღებს.

საერთაშორისო ურთიერთობა, საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო თვალსაზრისი, აი ის უმთავრესი თვისებანი რითაც ხასიათდებოდა განსაკუთრებით მთელი გასული ორი საუკუნე და რითაც ხასიათდება დღეს თანამედროვე პოლიტიკური ვითარებაც.

კაპიტალისტურმა კულტურამ დაანგრია ფეოდალური კარჩაკეტილობა, ნაციონალური ბაზარი ინტერნაციონალ მაშტაბში გაიშალა. სახელმწიფოთა ურთიერთობამ და მჭიდრო დამოკიდებულებამ მეტმივე და [illegible] მიიღო, ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნასთან ერთად, პარალელურად შეიცვალა კულტურული სამოქმედო არე. რელიგია, ფილოსოფია, მეცნიერება და სხვა მსოფლიოს შემადგენელ ნაწილთა თანაბარი მონაპოვარი შეიქნა.

პოლიტიკური ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა საერთაშორისო პოლიტიკას და დიდ ერთა კონტაქტი გადამწყვეტი ფაქტორი გახდა მსოფლიოს სხვა ნაწილთა კარდინალი საკითხებისა. ეს უმთავრესი თვისება თანამედროვე წყობილებისა მიზეზი გახდა მრავალი ერის დამონებისა, მრავალი ხალხის გაყიდვისა. საერთაშორისო პოლიტიკა ბელგიას უმორჩილებს ჰოლანდიას. ბელგიის ტერიტორიაზე ნავარდობს ჰოლანდიის სამხედრო ძალა, მისი სტუმარია გერმანეთის ჯარიც, ხოლო ინგლისის ძლიერებაც მას რისხვას უზიდებს. ამავე საერთაშორისო პოლიტიკით „დამოუკიდებელ“ პორტუგალიას ინგლისის გენერალი განაგებს. ესპანეთის მიწაწყალზე ინგლის-გერმანეთ-რუსეთის სამხედრო ძალა ნავარდობს. რუსეთი, ავსტრია და პრუსეთი „ძმურად“ იყოფენ პოლონეთს. საქსონიის ხალხს გაგონებაც არ სურს პრუსიასთან შეერთებისა, მაგრამ მის მეფეს ვენის კონგრესზე დასწრების უფლებასაც არ აძლევენ და ემუქრებიან ტახტიდან ჩამოგდებას „საზოგადოებრივი აზრის ძალით და სამართლიანად აღებულ იარაღის სიძლიერით“. საქსონიის მეფეზე აპობენ და მეფეს აიძულებენ ხელი მოაწეროს ამ აქტს. პრუსიის გაძლიერებისათვის ემხობა მრავალი სამთავროები გერმანეთისა. ტყვილა ცდილობს დედოფალი ფრანსტერბერგი თავის უფლების დაბრუნებას. უშედეგოთ სრულდება ლეიდენდის პროტესტები. ხელოვნურად იქმნება ნიდერლანდის სამეფო რომელსაც უერთებენ ბელგიის პროვინციებს, ჰოლანდიის რესპუბლიკის აღდგენის შესახებ კრინტსაც არავინ სძრავს ვენის კონგრესზე. ვენეციას ავსტრიას აკერებენ მიუხედავად იმისა, რომ იგი მკაცრად იცავდა ნეიტრალიტეტს. სავოიის დათმობის ნაცვლად საფრანგეთისათვის გენუია ეძლევა პიემონტ-სარდინიის სამეფოს.

ვენეციის გენუიისა და გუსტავ IV-ის დამცველად ვენის კონგრესზედ არ ისმის არც ერთი ხმა. სდუმს ლეგიტიმიზმის მხურვალე მოსარჩლე ტალეირანიც მალტიის შესახებ იგივე ტალეირანი არ შფოთავს და ლორდი კესტლერიც მეტად ერიდება განმარტებათა აღნიშვნას.

მაგრამ შორს წასვლა საჭიროც არ იყო. ძველი რუსეთის პოლიტიკის მიმართულებამ იმსხვერპლა განაპირა ერები, რომელიც კოლონიურ მდგომარეობაში მოექცნენ. ასევე გადასწყვიტა ინგლისმა ეგვიპტეს ინდოეთის ბურებისა და სხვათა თავისუფლების საკითხი. ირლანდია თავისუფლებისათვის ბრძოლის კლასიკური ქვეყანაა, მაგრამ დღემდე იმავე ინგლისის ტირანიას განიცდის. ერთი სიტყვით საერთაშორისო თვალსაზრისი, საერთაშორისო პოლიტიკა გახდა ფაქტიურად ის ძალა, რომელიც ქმნიდა და დღესაც ქმნის მსოფლიოს ახალ ქარტას, ახალ ეთნოგრაფიას,

პოლიტიკური საკითხების ამ რიგად მიმართება ფედერაციის ერთ მხარეს აშკარავებს და მას სრულად ამტკიცებს, ეს მხარეა, შემდეგი არც ერთ ერს, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია სრული დამოუკიდებელი არსებობის შენარჩუნება, მისი დაცვა.

ჩვენ, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს კარგად გვესმის ფედერალიზმის ბუნებაც და თანამედროვე პოლიტიკური ვითარებაც, როდესაც საერთაშორისო, ინტერნაციონალურ მაშტაბში ისმება თითქმის ყოველი პოლიტიკური საკითხი და ამიტომ გარკვევით და აშკარად ვამბობთ, რომ ჩვენი ორიენტაცია არის ორიენტაცია რევოლუციისა. (რაც თავის თავად არ ჰგულისხმობს ორიენტაციას რუსეთზე, როგორც ეს ბევრს ელანდება).

მაგრამ ვიკითხოთ სად არიან ჩვენი ყოფილი ამხანაგები? რომელი ძალა არის ისეთი ჯადოსნური ელფერის, რომელიც მისაღებია მათვის? ვისთან არიან ისინი?

ჩვენი ყოფილი ამხანაგები, შემოგიკურთხებენ, რომ მათ „ანტანტისტობა“ დასწამოდ ისინი „საკუთარი ძალით, ცდილობენ“... საქართველოს აღდგენას. მაგრამ გავიხსენოთ ფაქტები. რას ნიშნავს დღეს საკუთარი ძალით სიარული? თუ კი 1921 წლის 9—14 იანვარს, მე-5 კონფერენციაზე ადგენდენ, რომ „ჩვენი ქვეყნის საგარეო მდგომარეობა არსებითად დაკავშირებულია გარეშე ძალთა დღევანდელ პოლიტიკთან“, რა შეიცვალა მას შემდეგ? ჩვენი ყოფილი ამხანაგების აზროვნება და თუ „ძალთა პოლიტიკა“? რა თქმა უნდა არც ერთი და არც მეორე. მაგრამ ესეც ასე, რომ არ იყოს შეუძლია კი ფედერალისტს „საკუთარი ძალებით“ გაზომოს სახელმწიფოს არსებობის საკითხი და ისიც დღეს? რა თქმა უნდა არ შეუძლია. ამიტომ ისინი „საკუთარი ძალის“ აღიარებით პრინციპშივე ღალატობენ ფედერალიზმს და არსებითად მართლაც „უფედერაციო ფედერალისტები“ არიან. მაგრამ საკუთარი ძალა შორსაა.

ასეთი კაკლებით პოლიტიკურად კრეტინების დაპურება შეიძლება მხოლოდ. დღეს არ არსებობს ისეთი პოლიტიკური პარტია, ისეთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ამა თუ იმ ძალას არ უკავშირდებოდეს, რომელიც მსოფლიოს ძალთა კონცერტში რაიმე მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს. აქედანვე ჩვენ არ გვეყოფნის გულუბრყვილობა, რომ მემარჯვენეთა „საკუთარ ძალებს“ ვენდოთ, ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენი ყოფილი ამხანაგები მენშევიზაციის ქვაბში გადიხარშენ და დღეს ამ ორ მიმართულების პრაქტიკულ პოლიტიკას შორის სრული ჰარმონია სუფევს. ამიტომ როგორც მენშევიკების, ისე ჩვენი ყოფილი ამხანაგების ორიენტაცია არსებითად ანტანტაზე არის დაყრდნობილი. ისინიც ანტანტის იმედით ცხოვრობენ მითი იბრუნებენ სულს. ამდენადვე ისინი ღალატობენ არა მარტო სოციალისტური ფედერაციის პრინციპს, არამედ მთელ თავის იდეოლოგიას, მთელ თავის პროგრამას.

შეიძლება მენშევიზმმა, ორთოდოქსალმა მარქსიზმმა, კიდევ იპოვოს თავისი გამართლება რეაქციური ძალის გვერდში დგომისათვის, მაგრამ ისტორიაში კურიოზად დარჩება აქტუალი სოციალისტური მეთოდების მქონე პარტიის ანტანტასთან მეგობრობა.

როგორ მიმართებაშია აქტუალი სოციალიზმი და ანტანტიზმი? ამაზე შემდეგ.

ხერ. ამაღლობელი.

საბჭოთა აღმშენებლობის გამოფენა

1

ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლის თავზე საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში გაგვიმასპინძლდა ფართოდ საგულისხმო გამოფენით, სადაც წარმოდგენილია საბჭოთა აღმშენებლობის რვა თვის შედეგები საქართველოში. ასეთ გამოფენას ყოველმხრივი მნიშვნელობა აქვს ხალხის, ერის ცხოვრებაში. თქვენს წინ ნათლად გადაშლილია ყოველივე, რასაც ჩვენს ცხოვრებაში დიდი კვალი დაუმჩნევია. გამოფენის ნახვაზე კმაყოფილი რჩება ყველა, ვისაც კი წარმოდგენილი არ ჰქონდა, თუ რაიმე მაინც გაკეთებულა ამ მცირე ხნის განმავლობაში.

გადავავლოთ თვალი გამოფენას და მოკლეთ შევეხოთ ყოველმხრივად იქ გამოფენილ ექსპონატებს.

გამოფენა მოწყობილია სახელმწიფო დრამის შენობაში, სადაც ყველა დარბაზები და დერეფნები მოფენილია მრავალ სახიან დიაგრამა—რუკებით, ნივთებით და მანქანებით.

შესავალშივე ყურადღებას იპყრობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დიაგრამები და რუკები, რომელიც საუცხოოთ და მასთანვე მთლიანად ქართულად არის შედგენილი, რაც აუცილებლივ აღსანიშნავია, (ვგულისხმობ „მუშათა სახლის“ პროექტს და მუშათა „ქალაქ-ბაღის“ სქემა. ყურადღებას იპყრობს პირადი შემადგენლობის დიაგრამა, საიდანაც ნათელია ჩვენთვის მომუშავეთა ეროვნების მხრივ განაწილება, რაც შემდეგს წარმოადგენს: 140 ქართველი, 35 რუსი, 21 სომეხი, 9 ებრაელი, 3 მუსულმანი, 2 პოლონელი, 1 ოსი.

ს. ს. რესპუბლიკის რუკა ყველა ქალაქების, რაიონების, თემების და რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციის ბანაკობის აღნიშვნით, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოების ადგილობრივი მოქმედების დიაგრამები, მართლაც და საუცხოოდ შესრულებულია. კარგია შთაბეჭდილება, რომელსაც სტოვებს საერთო შინაგან საქმეთა კომისარიატის რუკა—დიაგრამები.

ზემო სართულში ასვლა კიბის კედლებზე გამოფენილია ავჭალის წყალსადენის, სასაკლაოსი და საბავშო სახლების სურათები, რაც მოქალაქის გულში მხოლოდ სიამოვნებას იწვევს. იმავე კედლებზე მუშა-გლეხთა ინსპექციის დიაგრამა—სურათები. ასავალის ზემო ნაწილი კარებთან უკავია შრომის კომისარიატს. ის დამაფიქრებელი დიაგრამები და რუკები, რომელნიც გვიჩვენებენ მუშათა რთულ ცხოვრების გამოსწორების გადახალისებას, სასიამოვნო სურათის გადამშლელია, ვინაიდან თქვენს წინ აშკარად წარმოდგენილია დაკმაყოფილება იმ უმუშევრებისა, რომელნიც ყოველმხრივ განაწილებულია თავის დარგების მიხედვით. დაწვრილებითი ცნობებს გაწევით იქვე მყოფი ამხსნელი, რომელიც ჩვენთან ერთად რასაკვირველია აღნიშნავს იმ შეცდომასაც, რაც საერთოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებელია. ეს არის ის რომ მრავალი საგულისხმო დიაგრამა—რუკები სულ რუსულადაა შედგენილი. ვიმეორებთ—ეს დაუშვებელია, თუ მივიღებთ მხედველობაში ქართველ მშრომელ მასსების მოთხოვნილებას.

გადავიდეთ სახალხო განათლების კომისარიატის განყოფილებებზე. როგორც რომ შეხვალთ დიდ დარბაზში მარჯვნით იწყება „თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოების ინსტიტუტის“ ნამუშევართა გამოფენა. გაკვირვებას იწვევს სუფთად შესრულებული მუშაობა, გამოფენილი ექსპონატები ამ მხრივ დიდათ დამაკმაყოფილებელია. მოქ. გრიგოლ მესხს, რომელიც განაგებს ამ ინსტიტუტს დიდი შრომა გაუწევია და სულ ახლო მომავალში დარწმუნებული ვართ ამ თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა მიწოდებით ყველა სასწავლებლები უზრუნველყოფილი იქნება.

ამ განყოფილების გვერდით გამოფენილია მოქანდაკეობა-ხუროთმოძღვრების განწევრის სუფთად შესრულებული ქანდაკებები: მარქსის, ენგელსის, ლენინის და ჯაფარიძის, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯაფარიძის ქანდაკება ვერ არის შესრულებული შესაფერისად. ამ განწევრის მუშაობა მეტად ყურადსაღებია.

იქვე მოთავსებულია საკანცელარიო ნივთების სახელოსნოს ექსპონატები. სახელოსნოს მრავალი მუშაობს გაუწევია ამ მცირე ხნის განმავლობაში, რასაც გვიჩვენებს ის გამოფენილი ნივთები მთლიანად, რომელიც გაუმზადებია სახელოსნოს.

ამ განყოფილებების ზემოთ კედელზე არ შეიძლება არ შევამჩნიოთ სატრანსპორტო სახელოსნოს და „იზო-აგიტი“-ს მუშაობას, მხოლოდ უნდა აქაც აღვნიშნოთ, რომ მარტო რუსული წარწერები, როგორც ეს აქვს „იზო-აგიტ“-ს, ეს ანორმალობაა.

დარბაზის მარჯვენა კუთხე ფრიად ლამაზად მოუწყვია კინო-განწევრს, რომელსაც მრავალ აპარატებთან ერთად წარმოდგენილი აქვს აუარებელი სურათები, და მათ შორის ახლად დადგმული სურათები „არსენა ჯორჯიაშვილი“, რომელიც ეკუთვნის 1905—1906 რევოლუციის ხანას საქართველოში. გულდასმით და საქმის სიყვარულითაა მოწყობილი ეს კუთხე.

ასეთივე გემოვნებით მეორე კუთხე სცენის მარცხნით უკავია ჩვენს მშვენიერ შევარდენს, რომლის წარმოდგენილი მასალა მის ყოველ მხრივ მოქმედებით რესპუბლიკის საზღვრებში, დიდ ინტერესს წარმოადგენს. დიაგრამები გაფრენების საჯარო ვარჯიშობების, საზოგადოებათა გავრცელებით, მრიცხველობა ტანვარჯიშობის და სამკურნალო სურათები შევარდნელ ცხოვრებიდან, რომელთა შორის აუცილებლად აღსანიშნავია გ. ნიკოლაძის ორი სურათი (საყირაობზე ვარჯიშობის შედეგი მუცლის კუნთებზე და რგოლებზე ვარჯიშობის შედეგი ზურგის კუნთებზე), საიდანაც პირდაპირ ნათელია შევარდნულ ვარჯიშობის მნიშვნელობა ადამიანის სხეულის განვითარებაში.

ტანსავარჯიშო ნივთები, ვარჯიშობების განრიგებები—ეს ყოველივე ფრიად საინტერესოა და ამ მხრივ შევარდენი თავის მოქმედებით ნამდვილი გამომხატველია ჩვენი მშრომელ ხალხის გაჯანსაღების გზის მიცემაში, კარგია შევარდენი, კარგია მისი მოქმედება.

იმავე კუთხეში ერთი ნაწილი უკირავს სოციალურ აღზრდის მთავარ მართველობის სკოლების გამოფენილ ნიმუშებს. დიაგრამები, რომელიც მთლიანად ქართულად არის შედგენილი მშვენიერ სურათს გვიჩვენებს საბავშო ბაღების, მცირე წლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილების, სახელოსნო სკოლის მოქმედების შესახებ. ყოველივე ეს ლამაზად არის გადმოცემული და კარგად შესრულებული.

საფეიქრო საინსტრუქტორო სკოლას წარმოდგენილი აქვს გამოფენაზე შალის და სხვა მატერიების საქსოვი მანქანა და აგრეთვე სხვა და სხვა მატერიების ნიმუშები. საქსოვი მანქანა იქვე მუშაობს და ყველასათვის ცხადია ამდაგვარ ამ სკოლის მოქმედება.

სცენას ამშვენებს მუსიკალური და თეატრალურ მოღვაწეთა სურათები და ქანდაკებები და ამ მხრივ სცენა ეკუთვნის განათლების კომისარიატის მუსიკალურ და თეატრალურ განყოფილებებს. დიდ ფაცა-ფუცშია პატივცემული მელიტონ ბალანჩივაძე.

სხვა და სხვა ხოროები ასრულებენ მრავალნაირ სიმღერებს და ასე ამგვარად გამოფენაზე დამსწრე აუარებელ ხალხის ყურადღება დროგამოშვებით მიპყრობილია სცენისაკენ.

ხ. აბდანიშვილი.

საგლეხეთიდგან

III.

რა გაკეთდება.

მაგრამ შეიძლება ყველამ იკითხოს. ბოლოს და ბოლოს საქართველოს სოფლებში ნეტავ რის გაკეთება შეიძლება, რომ ამდენსა ჩივის ეს კაცი.

გასაკეთებელი კი ბევრია, მაგრამ დაბრკოლებანი—კიდევ უფრო მეტი. ყველაზედ დიდი დაბრკოლება კი ჩვენივე ხალხის უვიცობა და სიზანტეა. არავითარი ეშხი წარმატებისა და კეთილ-დღეობისაკენ ჩვენ ხალხს არ გააჩნია. იგი არის საშინელი უხალისო, ჯიბრიანი და თანაც გასაკვირად დაუდევარი, რითაც პირველ ყოვლისა თვითონვე ზარალობს.

მე არ მახსოვს მაგალითი, როცა ჩვენ გლეხობას თავიანთი ნებითა და ხარჯით დაეარსებინოს ან სასწავლებელი, ან საავადმყოფო ან სხვა სასარგებლო რამ, ან მოეთხოვოს მაინც მთავრობისაგან.

არ გააკეთებს საქვეყნო გზას, რაც უნდა ოღრო ჩოღრო იყვეს და კისერმოსატეხი, არ გააკეთებს ხიდს. გინდაც დღემუდამ ესაჭიროებოდეს მასზედ გავლა.

ამაზე უთქვამთ სწორედ! ზარმაც მწყემსსა საქონლის გამორეკა შორიდგან ურჩევნიაო.

ასეთი მოქმედებისთვის ჩვენ ხალხს არ შესწევს გრძნობა საზოგადოებრივი, ინსტინქტი საერთო გადაწყვეტილებისა და მოქმედებისა.

მაგრამ თუ არ აბადია უნარი ასეთი საერთო და საძნელო საქმისთვის, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სხვა მხრივ თავისი საკუთარის თავისთვის ნაფტრის თვალი იყვესო.

აქაც ხასიათ მსხვერპლად ეწირება საშინელ დაუდევრობისა და უვიცობას.

ეგერ სამი-ოთხი წელიწადია—ახლას მიხდება დაკვირვება ოფლის ცხოვრებასთან რომ ეთავსებოდა რამე კარს და სასარგებლოს ჩვენ კაცს, იგი თანახმაა, თავს გიკენ [illegible].

— მართალი ბრძანებაა, შენი ჭირიმე!

— დიახ [illegible] რომ იყო.

გგონია, რომ ამ ხალხს აქვს, ნ მდვიდი [illegible] ცნობა სასარგებლოს და [illegible] მაგრამ [illegible] შ ხელი ცხოვრების ქვაბ ნწყუდეულში, რომ პირ დაღებული რჩება მისი [illegible].

ჰო, ამისი სულ [illegible] მაგალითიც: თითქმის ყოველ წელიწადს ჩნდება სხვა და სხვა ჭირი ან საქონელს, ან ღორის, ან ქათმის.

ღორი და ქათამი მეტადრე თითო-ოროლას გარდა სულ ამოუწყდებათ ხოლმე. ოთხი წელიწადია ჩემ მახლობელ მეზობლებს სულ იმას ჩავჩიჩინებ.

— კაცო, ჭირი რომ გაგიჩნდეს ავადმყოფ საქონელს, ღორსა თუ ქათამს კარგა მყოფებთან ერთად ნუ იყოლიებ, თორემ ცოლის ეს სენი ყველას შეხვდება. თუ მოკვდა, კიდევ, ნუ იცით იქვე გვერდზე მიაგდებთ, მაგითი ხომ უფრო ავრცელებთ ავადმყოფობას, მაშინათვე აიღეთ, ან ჩაფლავით მიწაში ღრმად, ან დასწვით, თორემ ჭირმა ხომ გაგიგია, როგორი ჩამოკიდება იცის, სანამ ერთი სული სულ დგმული მაინც გეყოლება, არ მოგვეშვება.

— რა საკვირველია, შენი ჭირიმე, სწორეთ ბრძანებთ!

მაგრამ მიუხედავად ამისა, მოუკვდებათ ღორი იქვე სალორის გვერდში მიაგდებენ. მოუკვდებათ ქათამი, გამოიტანენ და ზედ საქათმეზე შეაგდებენ.

რომ ვეკითხები, ღმერთმა უწყის მერამდენეთ, თუ რათ სჩადიან ამას.

— ეს, არ ვიცი! ჩვენ გლეხ-კაცს მაგდენი კი არ ესმის.

— კაცო თხუთმეტი წელიწადია სოციალისტებს ხმას აძლევთ და თუ მაგაზე მეტი არ გაგეგებათ, ან თქვენ თავს რაზე ატყუებთ და ან იმათ?

— ეჰ, შე დალოცვილო, საიდან დაგვიწყვე! რავი, როგორც ქვეყანა სჩადის, ჩვენც ისე ვიქცევით.

— ეჰ, ჩემო ძამო. თავიდან კვდარი ჭირიანი ქათამი ვერ მოგიშორებიათ, და მაგაზედ უფრო ცუდი სენი როგორ უნდა მოიცალოთ!

— ეჰ, მერე გავიტან, აიქით გადავაგდებ.

ამას იტყვის, მაგრამ გადიან დღეები და ჭირიანი საშ[illegible]ხლი ისევ იქა გდია. თუ მაინცა და მაინც ვინმემ გამოიჩინა სიბეჯითე, გამოიტანს და იქვე გზაზე დააგდებს.

წრეულ ღორებს მუსრი გაავლო ჭირმა და ყოველ დღე მეორდებოდა ეს მაგალითი ჩემ წინ.

ბოლოს, მართალია მე ავათ გასახდომი არაფერი მყავდა, მაგრამ ვედარ ავიტანე ასეთი უგუნურობა და ქალაქი რჩევით რომ ვერაფერი გავაწყე პირდაპირ ლახძლვა დავუწყე.

მერე რა, თქვენ გგონიათ იმათ ყურში შევიდა რამე?

ვუკვირდები ამ შემთხვევებს და აქედან ხოლოდ ერთი ქაუს სწავლება შეიძლება. ჩვენ გლეხ კაცს მართალია აქვს ცნობა, [illegible] რა არის კარგი და რა არის ავი მაგრამ [illegible] იგი არის მცონარე, ზანტი, როგორც სჩვევია აღმოსავლეთის ხალხს. ძაში ჩაქლული არის ყოველ გვარი სიხალისე [illegible] ცხოვრებისა.

თუ გვინდა, რომ ჩვენ გლეხს მოსწონს რამე და [illegible] ხარ, რომ ეს [illegible] და თანაც სასარგებლო მისთვის, საქმე მოკლედ უნდა მოეკიდოს: უნდა თავი ძირხეთო ყოველ გვარ [illegible]-დარიგებას და სასტიკის ბრძანებით, პირდაპირ ძალდატანებით უნდა გააკეთებინო საქმე. თორე მადლობელი თვალთვალი დაგირჩება.

აი ეხლა მაგალითად, ეს გახა ან სანიტარია ან შეიძლება ასეთი მახეთის ხალხში დამალვა, რომ გლეხი ძალიან არის უკმაყოფილო დღევანდელის პირობებით?

გლეხის ბუნება ასეთია, ყველაფერს, რასაც მისცემ მიიღებს, შეიფერებს, მეტად არაფერი არ ეჩვენება. მხოლოდ თუ მათთანვე მცირედი რომ, ამისთვის კი ცა და ქვეყანას დააქცევს წყევლით.

და ასეთ ბუნების პატრონ გლეხ-კაცობას ეხლა მხოლოდ ართმევენ ყველაფერს და სამაგიეროს კი ჯერ თითქმის არ მიუღია.

აი, ეს ჯარების ჩაყენება, აი, ეს ბეგარა, ეს ერთდროული გადასახადი, ეს სასურსათო გადასახადი და სხვა.

სამაგიეროთ კი ჯერ არაფერია.

ეს ცოტად გაგებული ადამიანისთვის ნათელია, რომ მთავრობას დღევანდელ სასტიკ პირობებში არას გზით არ შეუძლიან არ მოსთხოვოს ხალხს ეს უმცირესი ლუკმა არსებობისა.

მთავრობისთვის უფრო საშურია, გლეხისაგან მიიღოს რამე, ვიდრე ის, რომ მას მიაწოდოს რამე.

მაგრამ ჩვენ გლეხკაცი ამას არ დასდევს. ის სამსახურში ცხადა თხოულობს სამსახურსა და არ შეიძლება ამ [illegible] განწყობილების ანგარიში არ გაუწიოს მთავრობამ.

ვინ არ უწყის, რომ დღევანდელი ჩვენი მთავრობა ქონებრივად ღატაკია იმისათვის. არც ფინანსიური და არც ეკონომიური ნაკადი ვერ სჩქეფავს ისე ძლიერად, რომ მცირეოდენად მაინც მოუკლას წყურვილი ათას ნაირ საჭიროებით ხახა გამშრალ გლეხკაცობას.

ეხლა მაგალითად ვერ მოხერხდება განათლების დარგში მოეწყოს რამე [illegible], [illegible] საწავლებლები, ან დაარიდოს საწარმოვო და სამედიცინო დაწესებულებანი, რომელიც შეარღვევენ ჩვენი გლეხის კარ ჩაკეტილ ცხოვრებას და თვით მოქმედების ქარიშხალს დააქრიალებს.

მაგრამ საკმარისია ადგილობრივ მეშაკთა თავგამოდებული ცდა, რომ თვით გლეხობამ, უხარჯოთა და უდავიდარაბოთ გამოსძებნონ საშუალება მათივე საკეთილდღეოდ და მოსამზადებელი ბელად.

გააკეთებინონ ყველა სოფლებს თავიანთ მახლობლად ის საჭირო და მთავარი გზები, რომელნიც აერთებენ რომელიმე მნიშვნელოვან ადგილებთან, გააკეთებინონ ხიდები, როგორც ფეხისა, ისე საურმე. გააყვანინონ ადგილით შესასრულებელი არხები მოაწყონ ტყის სასტიკი შენახვა და გონივრულად გაჩეხვა. მთავარ ადგილებში აუცილებლად არიან საჭირონი ბეითლები. უნდა გამოიცეს სასტიკი სანიტარული წესები სოფელში და აუცილებელი თვალყურის გდება მის შესასრულებლად. ვისაც უნახავ მკვდარი ღორი, ქათამი, ან სხვა რამ საქონელი, დარდიმანდულად რომ გდია კედლის ან ღობის ძირში, უნდა ჯარიმით იქნეს დასჯილი.

მხოლოდ მაშინ ისწავლის გონიერ ქცევას ცარიელი ლაპარაკით დაბრძენებული ჩვენი კაცი.

ამა გაკეთდეს ასეთი საქმეები თუ მთავრობის ნდობამ და კეთილ-განწყობილებამ ხელათ არ დაიდოს ტახტი ჩვენი ხალხის გულში. მერე ამნაირ საქმეზე მთავრობას თითქმის არაფერი არ ეხარჯება. აქ საჭიროა მხოლოდ ადგილობრივ რევკომების და მოღვაწეთა თავგამოდება.

მაგრამ...

ეჰ, დაიქცეს „მაგრამის“ საძირკველი! იმის უკან მუდამ უშველებელი ქვითკირის კედელი ატეხილა ხოლმე.

დავ. მჭედლიშვილი.

ახალი ამბები

ხაბარეუშმი ინსპექციამ საინტერესო ცნობები მოგვცა შესახებ საქართველოში მიღებულ პარკისა 1911 წ—1921 წლებში.

— ნაძალადევის მოედანზე რევოლიუციის 4 წლის თავის საზეიმოთ დადგეს კარლ მარქსის ძეგლი. რკინის გზის მოსამსახურეებმა თავის რაიონში გახსნეს საბავშვო სახლი და საბავშო სასადილო.

— მწერალთა კავშირის განცხადება. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოდ, რომ საბჭო ჩვეულებრივ განაგრძობს კავშირის საქმეების მართვა-გამგეობას დამოუკიდებლად იმ ჯგუფისა, რომელმაც კავშირიდან გასვლა განცხადა არჩევნების შემდეგ და დაარსა ეგრედ წოდებული „ახალგაზრდა მწერლობის კავშირი“.

— ფოთის ნავთსადგურში მოვიდა ამერიკის გემი 7.100 ტონიანი შავი ქვის გადასაზიდავად, დატვირთვას აწარმოებს საზოგადოება „ჩემო“.

— ტფილისის აგრონომიულ ინსტიტუტისთვის, რომელიც მოთავსებული იქნება სემინარიის შენობაში, სხვა და სხვა ხარჯებისთვის გადადებულია 459,395,022 მ.

— ტფილისში ჩამოვიდა მთავარი დირექტორი ამერიკულ დამხმარე საზოგადოებისა, რომლის მიზანია გაეცნოს ამერიკულ კომიტეტის ორგანიზაციებს ტფილისში.

— მიწის ძვრა, რომელიც მოხდა ტფილისში 5 ნოემბერს ღამის 1 საათ. 28 წ. იყო ტექტონიური და ადგილობრივი ხასიათისა როგორც ირკვევა ამის მიზეზი იყო უზარმაზარი მიწის—ქვეშა ზვავი.

— ახლო მომავალში ოზურგეთში გაიხსნება მუსიკალური სასწავლებელი, სასწავლებლის გახსნის დროს აკადემიური ცენტრიდან გაგზავნილი იქნება წარმომადგენელი.

— სანიტარულ-ტექნიკურ ქვეგანყოფილებამ ტფილისის ქალ. რევკომისამ მოაწყო კვირაობა ტრამვაის რკინის გზის გაწმენდისათვის.

პარტიაში

პარტიული სამკითხველო. პარტიის ცენტრალურ ბიუროში გაიხსნა სამკითხველო. სამკითხველოში ყოველ დღიურად არის რუსულისა და ჩვენი ქვეყნის ყველა პერიოდული გამოცემანი. ამ დღეებში დაიწყება წიგნების გაცემაც. სამკითხველო ღიაა საღ. 5—9 საათამდე. სამკითხველომ შეიძინა ახლად გამოცემული პოლიტიკური წიგნები.

—

მემარცხენე სოციალ.-ფედერალისტთა ახალგაზრდათა ორ. მთავარი კავშირი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ რომ წევრთა რეგისტრაცია სწარმოებს ცენტრალურ ბიუროს ახალგაზრდათა ოთახში ყოველ დღე 9—2 საათამდე.

ახალგაზრ. ორ. კავშირი.

—

პარასკევს, ნოემბრის 11-ს საღამოს 8 საათზე პარტიის ცენტრალურ ბიუროს ახალგაზრდა ოთახში (№ 3) დანიშნულია მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ ახალგაზრდთა საერთო კრება.

განსარჩევია ფრიად სასწრაფო საკითხები დასწრება სავალდებულოა.

ახალგაზრ. ორ. კავშირი.

უცხოეთი

მოსკოვი. 6 ნოემბერი. ირლანდიის საშვიდობო მოლაპარაკება განახლდა სამშაბათს ლოიდ ჯორჯის მონაწილეობით. ირლანდიის დეპუტატები ისეთს მოთხოვნილებას არდგენენ რომ შეუძლებელია ირლანდიის საკითხის მალე გადაწყვეტა.

მოსკოვი. 6 ნოემბერი. გაზეთ „ტაიმსი“ ალიარებს ინგლისის პოლიტიკის შეცდომას ბერძენ-ოსმალეთა ომში და წინადადებას იძლევა დაარწმუნონ ბერძნები მცირე აზიის დატოვებაზე. თვითეული დღე ბერძენ-ოსმალეთა ბრძოლისა ართულებს ინგლისის მდგომარეობას მესოპოტამიაში ქურდისტანში და ინდოეთში. გაზეთი მოითხოვს გადახედილი იქმნას ახლო აღმოსავლეთის ინგლისის პოლიტიკა, თვით კონსტანტინეპოლის ოკუპაციაც კი.

ტრაპიზუნდი. ბერძნული გაზ. „ატლანტი“ მოითხოვს ათენის პარლამენტის გაშვებას, რომელმაც დაკარგა ხალხის რწმენა.

მოსკოვი. 6 ნოემბერი. ბერლინიდან იუწყებიან რომ საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა საბჭოთა მთავრობის ნოტას უცქერის არა კეთილის თვალით. გერმანიის პრესა წინადადებას ესალმება საბჭოთა ნოტას. ყველა ბურჟუაზიული პრესა ამ ნოტას სთვლის მარდი პოლიტიკურ გადასვლათ რომელიც მიიყვანს საბჭოთა მთავრობის ცნობამდე. ინგლისის მთავრობა მზად არის დაეთანხმოს კონფერენციის მოწვევას, რომელიც წინადადებული იყო საბჭოთა მთავრობის მიერ.

— „როტე ფანე“ სწერს: საბჭოთა მთავრობისათვის ანტანტის მტაცებლების ვალის გადახდა არის მძიმე მსხვერპლი საბჭოთა მთავრობა ამ მსხვერპლს სწირავს მისთვის რომ უზრუნველყოს მშვიდობიანი ცხოვრება მუშებისა და გლეხთა და მით შეძლება ექმნეს ადგილობის მეურნეობა მხარეში საერთაშორისო პროლეტარიატის ამოცანა იმაშია, რომ აიძულონ თავიანთი მთავრობანი მისცენ რუსეთს საშუალება, შეკრას ზავი და მიეცეს კრედიტი. დასავლეთ ევროპის რევოლიუციის გამარჯვება გაანთავისუფლებს რუსეთს ამ სესხისაგან.

შვიდი მუშა

3 ნოემბერს, მუშათა სასახლეში შესდგა პროფ. კავშირთა პლენიუმის და საქარხნო კომიტეტების შეერთებული სხდომა ამ სხდომას დაესწრო როგორც საქართველოს რევკომის ზოგიერთი წევრი, აგრეთვე დიდძალი ქარხნის მუშა-მოსამსახურენიც დარგებიდან და ასეთი არაჩვეულებრივი მრავალრიცხოვნობა გასაგებიც იყო, ვინაიდან ამ სხდომაზე ირჩეოდა ეგრედ წოდებული მუშათა დელეგაციის დეპუტატების საკითხი. ორატორთა ტრიბუნაზე გამოვიდნენ რევკომის წევრები და საქარხნო კომიტეტის წარმომადგენლების გარდა აგრეთვე პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებიც. ჩვენ მოვითხოვეთ სიტყვა განცხადებისთვის და შემდეგი ვსთქვი: უკანასკნელ დღეებში, ტფილისში გავრცელდა ხმები, რომ ვითომც საქართველოს რევკომის თავმჯდომარესთან მისულა ეგრედწოდებული „სოციალისტურ პარტიათა მუშათა დელეგაცია“ მოთხოვნილებით, მაგრამ რევკ. თავმჯ. არ მიუღია იგინი და შემდეგ დაუპატიმრებია. ასეთი მოვლენა ჩვენს ქვეყანაში მეტად საგულისხმიეროა, რისთვისაც პოლიტიკურ პარტიას არ შეუძლია გვერდი აუხვიოს, ამიტომ ჩვენი პარტია დაავალა რაიონულ ორგანიზაციებს და კერძოდ იმ მუშებს, რომელნიც ჩვენი პარტიის გარეშე იყვნენ თავს,— ხომ არ მიუღიათ მათ აქტიური ან პასიური მონაწილეობა რაიმე დელეგაციის ასარჩევად და ყველასგან მივიღეთ უარყოფითი პასუხი. ასე რომ ჩვენმა პარტიამ არა თუ არ მიიღო მონაწილეობა რაიმე დელეგაციის არჩევნებში, არამედ მის შესახებ არც არაფერი იცოდა. ეს პატარა განცხადება გავაკეთეთ ჩვენ საქართველოს მემარცხენე სოც. ფედერალისტთა პარტიის სახელით.

ასეთივე განცხადება გააკეთა თავის სიტყვის ბოლოში დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიის პარტიის (სხველების) სახელით ამხ. თოფ[illegible]ძემ.

ჩემი განცხადების შემდეგ ტრიბუნაზე ადის ვინმე კილოსანია, რომელიც სხვა „სიბრძნესთან“ ერთად ამბობს, რომ „რა მნიშვნელობა აქვს ფედერალისტების განცხადებას მაშინ, როდესაც ამ პარტიას ჰყავს სულ შვიდი მუშა და შესაძლებელია მართლაც ამ ხალხს არაფერი სცოდნოდათ და სხვა.

ვინ არის ეს კილოსანია, ან რამდენად იცნობს ჩვენი პარტიის შინაგან ცხოვრებას, ან როდის დათვალა ჩვენი პარტიის წევრთა რაოდენობა, გაცნობილია თუ არა ჩვენი პარტიის თუნდაც უკანასკნელ რეგისტრაციასთან და სხვ., ამის გაგების უფლებას ჩვენ უტოვებთ გონიერ და შეგნებულ მკითხველს და ამ ვიღაც კილოსანიას კი უნდა შევეკითხოთ შემდეგი:

თქვენთვის ყოველთვის უმნიშვნელოა განცხადება—კომუნისტებისა, დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებისა, ესერებისა და თქვენგან ისტორიულად მოძულებულ ფედერალისტებისა, მაგრამ გვიპასუხეთ,—მაშ ვისი განცხადება არის მნიშვნელოვანი?—სთქვით, ვისი? ნუ თუ გგონიათ მხოლოდ და მხოლოდ იმათი, რომელთაც პარტიის წევრთა რაოდენობა წარსულში მხოლოდ თითო გირვანქა შაქრის დარიგებით რომ გაზომებოდა? ნუ თუ მხოლოდ მარტო იმათი, რომელთა მოგონება და ნატვრა მხოლოდ ტფილისის ჩარჩ-ვაჭრებში და ნამდვილ ახდილ სპეკულიანტებშია რომ დარჩა?

ამ ვიღაც კილოსანიასთან ჩვენ არავითარი პირადი ცნობა არა გვაქვს გარდა იმისა რომ იგი რამდენჯერმე გვინახავს ტფილისის ქუჩებზე პორთფელით ხელში. რა სტაჟი აქვს, რა გაუკეთებია ქართველი ხალხის სასარგებლოდ ან რა წარსული აქვს—ამის შესახებ თვითონვე ამბობს, რომ არაფერით, როდესაც აცხადებს რომ მე „უპარტიო“ კაცი ვარო.

ჩვენ კი ვიცით რომ უპარტიონი იმ კატეგორიის ხალხს ეკუთვნიან, რომელთაც არა აქვთ არავითარი პრინციპები უიმედოთ უყურებენ მომავალ ცხოვრებას და რასაკვირველია არც სოციალიზმი სწამთ. ასეთი ხალხი ყველგან არიან, თავსა ჰყოფენ. მათთვის სულ ერთია სახელმწიფო და მისი წყობილება ბოლშევიკური იქნება თუ მენშევიკური. ამ შემთხვევაში მათ „ნეიტრალური პოზიცია“ უჭირავთ. დღეს ბევრი პოლიტიკური პარტია არის საქართველოში, რომელნიც სოციალიზმს აღიარებენ და საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგანან, რომელშიაც თავს იყრის ქართველი მშრომელი ხალხის დიდი უმრავლესობა და საინტერესოა ვიცოდეთ ბ-ნი კილოსანია როგორც „უპარტიო“ კაცი გარეშე ხომ არა სდგას ამ პოლიტიკურ პარტიების მიმართულებისა? პასუხი ერთია—ის „უპარტიო“ კაცია.

რადგანაც ფაქტი ფაქტად რჩება, ამიტომ ჩვენ ბ-ნ კილოსანიას განცხადებას ეროვგვარი ანგარიში უნდა გაუწიოთ, ვინაიდან საქართველოში დღიდან გადატრიალებისა ძალიან ბევრი „უპარტიო“ ხალხი გაჩნდნენ, ამას ანკეტებიც კარგად მოწმობენ და ამიტომ ეს „უპარტიო“ ხალხი და კერძოდ ბ-ნი კილოსანია ერთი შეკითხვით კიდევ გვინდა შევაწუხოთ.

როდესაც ჩვენ, სოც. ფედერალისტები, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მთელი ოცდა ხუთი წლის განმავლობაში როგორც სოციალისტურ-ეროვნული პარტია, ვმღეროდით ეროვნულ თავისუფლებას ჰიმნებს და იმპერიალისტურ რუსეთისაგან მოვითხოვდით უფრალო ავტონომიას რისთვისაც ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტებმა საქართველოში ზოგიერთი „პოლიტიკური“ პარტიებისაგან დავიმსახურეთ „შოვინიზმის“ „[illegible]“ „ნაციონალიზმის“ სახელწოდება, როდესაც ჩვენ საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში ჩვენ მთელი ინიციატივა [illegible] როდესაც [illegible] ხელს წითელი დროშები, ის დროშები, რომელზედაც საქართველოს თავისუფლება ეწერა,—მე გეკითხებით სად იყო მაშინ თქვენი გონება, თქვენი ზნეობა და „მამულ შვილური“ შეგნება სამშობლოსადმი,—რომელ პოზიციაზე იდექით ან რომელ „პოლიტიკურ“ პარტიას ეკუთვნოდით? სთქვით, ქართველი კაცი ხართ არ უნდა გეშინოდეთ სიმართლისა. ჩვენ ყოველ ქართველს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე საშუალებას ვაძლევთ გამოსთქვას თავისი აზრი და შეხედულება უშიშრად და დასდოს მსჯავრი ნამდვილ საქართველოს მოღალატეებს.

მანამდე თქვენ, თქვენი წარსულის ვინაობას საქართველოს თავისუფლების დაცვაში არ გამოაჩენთ, მანამდე თქვენ არა გაქვთ ნება ქართველი ერის სახელით სპეკულიაცია გასწიოთ.

როდესაც ჩვენ ნოემბრის 3 პლენუმის სხდომაზე განცხადება გავაკეთეთ, ჩვენ ამის სრული უფლება გვქონდა როგორც პარტიის კავს, ჩვენ მივიჩნევთ ჩვენი პარტიული მოვალეობა და დავიცავით პარტიული დისციპლინა, მაგრამ ბ-ნო კილოსანიავ ერთი გვიბრძანეთ თუ რა აზრი ჰქონდა თქვენს განცხადებას მაშინ, როდესაც ტრიბუნიდან აცხადებდით რომ ფედერალისტებს შვიდი მუშა ჰყავთო. რატომ არაფერი სთქვით დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატებზე? რატომ გაჩერდით მარტო ჩვენზე, რა შუაში იყო აქ ფედერალისტები და მათი შვიდი მუშა?

იყო დრო, როდესაც „სოციალიზმის“ სახელით ერის თავისუფლებას ჩრდილავდით, მაგრამ ეხლა კი გსურთ ერის სახელით სოციალიზმი დაჩრდილოთ. რა გსურდათ თქვენი განცხადებით? ფედერალისტები დაგემცირებინათ? მერე და თქვენ გგონიათ რომ მიაღწევთ ან მიაღწიეთ მიზანს? რომელი სოციალისტი ადამიანი დაუჯერებს მაშინ, როდესაც ყველამ იცის, რომ სულ ათი დღე გახლავთ რაც ტფილისში მემარცხენე სოც.-ფედერალისტების პარტიული ყრილობა დამთავრდა, რომელსაც სამოცამდე დელეგატი დაესწრო მერე და იცით ვინ იყვნენ ეს ხალხის წარმომადგენელი დელეგატები?—ესენი გახლდნენ ნამდვილი მიწის მუშები და გლეხები. ამის შემდეგ ადამიანი ან გონებით დაბრმავებული უნდა იყოს და დღევანდელი ცხოვრების არაფერი არ უნდა გაეგებოდეს ანდა გაბოროტებული რომ სთქვას—შვიდი მუშა ჰყავთო!

„შვიდი მუშა“ გვყავს და ეს ჩვენ საამაყოდაც მიგვაჩნია და განა არა სჯობს და ბედნიერი არ არის ის პარტია, რომელსაც შვიდი შეგნებული მუშა ჰყავდეს ვიდრე ასი მერყევი და შეუგნებელი მუშა? თქვენ როგორც გეხედებით ბ-ნო კილოსანია ისე მოიტყუეთ თავი და ჩვენ კი ვიცით, რომ ჩვენს პარტიულ ყრილობაზე დამსწრე დელეგატ გლეხებს და მუშებს ზურგში ასობით მუშა ამხანაგები უყენიათ. ეს იცის მთელმა ქვეყანამ, იცის ყოველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, რომელნიც კი დღევანდელ ცხოვრების ვითარების თითქმის წვრილმანებსაც კი თვალყურს ადევნებენ და თქვენ როგორც ყოველივე ამის გარეშე მდგომი რასაკვირველია არ გეცოდინებათ.

რა ხდება, რა კეთდება დღეს პოლიტიკურ პარტიებში? თქვენ როგორც „უპარტიო“ კაცს რასაკვირველია არ გეცოდინებათ და ამიტომ რაც სადმე რამე წამოგცდებათ—გეპატიებათ, ნათქვამია „არ ცოდნა არ ცოდვაო“.

სოც. ფედერალისტებს პარტიულად მოწინააღმდეგე ბევრი დემაგოგები ჩაუყლაპნიათ და ამიტომ თქვენი გამოსვლა ჩვენს წინააღმდეგ ახალი ამბავი არ გახლავთ ჩვენთვის—ეს ის ცნობილი გამოსვლა და „საქმიანობა“ გახლავთ, რომელმაც ქართველი მშრომელი ხალხის გონებაში ეროვნული თვითცნობიერება დიდხანია ჩ ჰკლა

ასოთ-ამწყობი დ. მელაშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

გიმნაზიის მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს
სპეც. ქართული, საზოგადო ისტორია
მისამართი: იკითხეთ „ტრიბუნის“ რედაქციაში.

ტირაჟი 1000
სტამბა „სახალხო საქმე“ [illegible] 4
ნ. ჯ. ხ. ფ.